

და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა:

შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
პარტნიორთა საერთო კრების მიერ,

25 ოქტომბერი, 1999 წ.

**ცვლილებები და დამატებები
შეტანილია:**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
აქციონერთა საერთო კრების მიერ,

19 მაისი, 2006 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,

29 დეკემბერი, 2008 წ.

**„საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“**

ეთიკის კოდექსი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კოდექსის მიზანი და საგანი

ეთიკის კოდექსი ადგენს ეთიკური ქცევის იმ სტანდარტებს, რომლებიც ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა დაიცვან სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (შემდგომში – „ცენტრალური დეპოზიტარი“) წევრები. კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს წევრების მიერ წესების, პროცედურებისა და სახელშეკრულებო მოთხოვნების შესრულებას ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებით სარგებლობისას.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიერ დადგენილი დამატებითი ვალდებულებები

ქვემოთ მოცემული ნორმების გარდა, ეს კოდექსი ავალდებულებს ცენტრალური დეპოზიტარის ყველა წევრს, დაიცვას საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში – „მარეგულირებელი ორგანო“) შესაბამისი მარეგულირებელი წესები, რომლებიც შეეხება მათ ცენტრალური დეპოზიტარის მიერ გაწეული მომსახურებით სარგებლობისას.

მუხლი 3. მმართველი ორგანოს პასუხისმგებლობა

- 3.1 წევრის მმართველი ორგანო პასუხისმგებელია უზრუნველყოს წევრის მიერ ამ კოდექსის დებულებებით და ცენტრალური დეპოზიტარის წესებითა და პროცედურებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
- 3.2 წევრის მმართველი ორგანო ნიშნავს მინიმუმ ერთ პიროვნებას, რომელიც პასუხისმგებელია წევრისა და ცენტრალური დეპოზიტარის ყოველდღიურ თანამშრომლობაზე, მათ შორის ცენტრალური დეპოზიტარის მიერ განსაზღვრული ყველა იმ წესის, პროცედურისა და ხელშეკრულების შესრულებაზე, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალურ დეპოზიტარში ფასიანი ქაღალდების მოძრაობასთან ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე (ან ანგარიშიდან), აგრეთვე ფულადი სახსრების მოძრაობასთან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ განსაზღვრულ საანგარიშსწორებო ბანკში.
- 3.3 წევრის მმართველი ორგანო აგრეთვე ნიშნავს თანამდებობის პირს, რომელიც მეთვალყურეობას უწევს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული თანამშრომლის საქმიანობას და ასრულებს ამ კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილ სამეთვალყურეო დავალებებს.
- 3.4 წევრის სიდიდიდან გამომდინარე, რაც განისაზღვრება კლიენტების რიცხვით, ყოველდღიური გარიგებების საშუალო მოცულობით და ფილიალების რაოდენობით, ცენტრალურ დეპოზიტართან დროული და ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების თანახმად, მმართველი ორგანო ნიშნავს მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე პიროვნებას.
- 3.5 ცენტრალურ დეპოზიტართან საქმიანობის დაწყებამდე წევრის მმართველი ორგანო წერილობით აცნობებს ცენტრალურ დეპოზიტარს (მე-3 მუხლის მე-2 და მე-3

პუნქტებით განსაზღვრული) დანიშნული თანამშრომლისა (თანამშრომლების) და თანამდებობის პირის (თანამდებობის პირების) სრულ სახელსა და გვარს, სამუშაო ადგილის მისამართს, ტელეფონსა და ფაქსს. ამ ინფორმაციის ნებისმიერი სახით შეცვლის შემთხვევაში, წევრმა დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა აცნობოს ცენტრალურ დეპოზიტარს. შეტყობინება ცვლილების შესახებ გადაცემულად მიიჩნევა, თუ წევრი ცენტრალურ დეპოზიტარს შეატყობინებს ორი სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ადრე გადაცემული ინფორმაცია არაზუსტი ან არასრული გახდება.

მუხლი 4. ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა

ცენტრალური დეპოზიტარის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესრულება ყველა წევრის მოვალეობაა. მათდამი დაუმორჩილებლობა მიიჩნევა ამ კოდექსის დარღვევად და ცენტრალური დეპოზიტარის დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსის მიხედვით წევრს დაეკისრება დისციპლინური სახდელი.

მუხლი 5. ძირითად ტერმინთა განმარტებები

- 5.1. წევრი** – ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობითა და ცენტრალური დეპოზიტარის წესებით განსაზღვრული პირი (მათ შორის კანონით გათვალისწინებული უცხოური ფინანსური ინსტიტუტი), რომელიც ცენტრალური დეპოზიტარის მიერ აღიარებულია წევრად და მასთან გაფორმებული აქვს წევრობის და მომსახურების ხელშეკრულებები.
- 5.2. წევრის მმართველი ორგანო** – სამეთვალყურეო საბჭო ან/და გენერალური დირექტორი, რომლებიც უფლებამოსილი არიან, დაადასტურონ ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება წევრის მიერ და პასუხისმგებელი არიან, დაემორჩილონ ამგვარ მომსახურებასთან დაკავშირებულ სამართლებრივი მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია დეპოზიტარის ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ.
- 5.3. საჩივარი** – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის ან მათი ნდობით აღჭურვილი პირის წერილობითი განცხადება, რომელშიც გამოთქმულია უკმაყოფილება ცენტრალური დეპოზიტარის ან წევრის თანამშრომელთა საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით, თუ ეს დაკავშირებულია ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობასთან ან გარიგებებთან.
- 5.4. ბონა ფიდე კლიენტი** – პიროვნება, რომელსაც წევრის საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში ფასიანი ქაღალდები ან ფულადი სახსრები გააჩნია ცენტრალურ დეპოზიტარში ან განსაზღვრულ საანგარიშსწორებო ბანკში და წევრთან მისი საქმიანი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობით ხელშეკრულების საფუძველზე.
- 5.5. ბაზრის მარეგულირებელის წარმომადგენელი** – მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

თავი II. ფიზიკის საქმიანობისა და ქვევის პირითაღი პრინციპები

მუხლი 6. კომერციული რეპუტაციის, სამართლიანობის და ვაჭრობის მიუკერძოებელი პრინციპების მაღალი სტანდარტები

თითოეული წევრი, რომელიც მოქმედებს თავისი თანამშრომლების მეშვეობით, აღიარებს კომერციული რეპუტაციის, სამართლიანობისა და ვაჭრობის მიუკერძოებელი პრინციპების მაღალ სტანდარტებს, როდესაც ცენტრალურ დეპოზიტართან ერთად ან მისი მეშვეობით, წევრის ან თავისი ბონა ფიდე კლიენტის სახელით ეწევა საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში წევრი ექვემდებარება მაღალი სტანდარტებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რომ უზრუნველყოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ცენტრალური დეპოზიტარის მეშვეობით განხორციელებული გარიგებების სიზუსტე.

მუხლი 7. კლიენტებისათვის რეკომენდაციის გაწევა და ინფორმაციის მიწოდება

- 7.1. შემნახველი ანგარიშის დახურვის ან გახსნის ან კლიენტის ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ნომინალურ ანგარიშზე (ან ნომინალური ანგარიშიდან) გადატანის შესახებ ბონა ფიდე კლიენტისთვის რეკომენდაციის გაწევისას ან ინფორმაციის მიწოდებისას, ცენტრალური დეპოზიტარის წესებსა და პროცედურებზე დაყრდნობით და აგრეთვე ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დადგენილი ფორმის ან ანკეტის ან ხელშეკრულების მეშვეობით, წევრი გაუწევს სათანადო რეკომენდაციას და/ან მიაწვდის ზუსტ ინფორმაციას კლიენტს საქმიანობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.
- 7.2. წევრი ყველანაირად უნდა ეცადოს, უზრუნველყოს, რომ ბონა ფიდე კლიენტმა ცენტრალურ დეპოზიტარს წარუდგინოს სრული და ზუსტი ინფორმაცია ნომინალური ანგარიშის გახსნის ან დახურვის, ამ ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების მოძრაობის და იმ სახსრების შესახებ, რომლებიც მიეწოდა საანგარიშსწორებო ბანკს კლიენტის მიერ შემოთავაზებული ფასიანი ქაღალდების შესაძენად. თუ წევრს გააჩნია საკმარისი საფუძველი, რომ კლიენტის მიერ ნებისმიერი ფორმით, ანკეტის ან ხელშეკრულების სახით მიწოდებული ინფორმაცია არადასაკმაყოფილებლად ჩათვალოს, ხარვეზის გამოსწორებამდე აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა მიაწოდოს ცენტრალურ დეპოზიტარს.
- 7.3. ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების თანახმად, კლიენტი პასუხისმგებელია, წევრს მიაწოდოს ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია, იმისთვის, რომ წევრმა, როგორც კლიენტის აგენტმა, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებები აწარმოოს.
- 7.4. ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების თანახმად, წევრი პასუხისმგებელია, წარადგინოს ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია, რომ თავისი საკუთარი ხარჯით აწარმოოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებები.

მუხლი 8. ქმედებები, რომლებიც ითვლება დისციპლინურ დარღვევად

- 8.1. ყველა წევრი, რომელიც მოქმედებს მათი თანამშრომლების მეშვეობით მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით ვალდებულია სამართლიანი გარიგება

აწარმოოს კლიენტებთან და სხვა წევრებთან. ქვემოთ ჩამოთვლილია ის შემთხვევები, რომლებიც ჩაითვლება უკანონოდ და გამოიწვევს დისციპლინური სახდელის დაკისრებას:

- 8.1.1. ამ კოდექსის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში;
- 8.1.2. უკანონო გარიგების განხორციელების მიზნით ცენტრალურ დეპოზიტარში ფიქტიური ანგარიშების გახსნა.
- 8.1.3. ნებისმიერი უკანონო გარიგების განხორციელება, მათ შორის შიდა საანგარიშო გადარიცხვები, რომლებიც კლიენტის ფასიანი ქაღალდებით ან ფულადი სახსრებით ხორციელდება.
- 8.1.4. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი სარეკლამო განცხადება კლიენტების მოზიდვის ან შენარჩუნების მიზნით დაფუძნებული: ა) საბროკერო კომპანიის ცენტრალური დეპოზიტარის წევრობაზე; ბ) ცენტრალურ დეპოზიტარში შემნახველი ანგარიშის გახსნასა და ამ ანგარიშით სარგებლობაზე; გ) საბროკერო კომპანიის უფლებამოსილებაზე გასწიოს მომსახურება, რომელსაც, ჩვეულებრივ, ცენტრალური დეპოზიტარი უწევს წევრებს; დ) წევრისა და ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანი ურთიერთობების სხვა ასპექტებზე.
- 8.1.5. ნებისმიერ ფორმაზე, ანკეტაზე ან ხელშეკრულებაზე ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ დოკუმენტზე კლიენტის ხელმოწერის ან ბეჭდის გაყალბება.
- 8.1.6. წევრის მიერ იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობა, რომლებიც შეეხება ცენტრალური დეპოზიტარისთვის განსაზღვრულ ვარსადგენი, ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების კლირინგსა და ანგარიშსწორებას.
- 8.1.7. წევრსა და ცენტრალურ დეპოზიტარს შორის ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობის უზრუნველყოფი შტატის არასაკმარისი რაოდენობა.
- 8.1.8. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ დადგენილ პერიოდში მის მიერ გაწეული მომსახურებისთვის დარიცხული შენატანების ან სხვა სახის საფასურის ან ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების დარღვევის შედეგად დაკისრებული ჯარიმების გადაუხდელობა.
- 8.1.9. ცენტრალური დეპოზიტარისთვის იმ საოპერაციო თუ მარეგულირებელი ხასიათის პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა, რომელმაც, შესაძლოა, დააბრკოლოს წევრი, შეასრულოს ცენტრალური დეპოზიტარის წესები და პროცედურები.
- 8.1.10. წევრის საქმიანობის შემოწმების ან მოკვლევის მიზნით მოთხოვნილი ინფორმაციის და/ან დოკუმენტაციის ბაზრის მარეგულირებლის წარმომადგენლისთვის მიუწოდებლობა ან არასათანადო თანამშრომლობა.
- 8.1.11. კლიენტის საჩივარზე დაგვიანებული ან არასათანადო გამოხმაურება.

- 8.1.12 სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმის გადახდის სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობა მას შემდეგ, რაც ამოიწურება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პერიოდი კანონმდებლობის მიხედვით.
- 8.1.13 წევრის, ცენტრალური დეპოზიტარის ან სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის იმიჯისა და რეპუტაციის შემლახველი, აგრეთვე არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება;
- 8.1.14 წევრის მიმართ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფელი განცხადების გაკეთება და /ან ქმედება.

მუხლი 9. სამართლიანი ფასები, საკომისიო და ანაზღაურება

- 9.1. საფასური, რომლებსაც აწესებს წევრი ბონა ფიდე კლიენტისათვის გაწეულ მომსახურებაზე, არის სამართლიანი ყველა სათანადო ფაქტორის, მათ შორის ცენტრალური დეპოზიტარის მიერ კლიენტების გარიგებათა საწარმოებლად დაწესებული შენატანების გათვალისწინებით.
- 9.2. წევრები უნდა დაემორჩილონ ცენტრალური დეპოზიტარის წესებს, რომლებიც განსაზღვრავს შენატანებისა და საკომისიოების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება მიიღოს წევრმა კლიენტებისათვის გაწეულ მომსახურებაზე.

მუხლი 10. ემიტენტის მასალების გადაცემა

კლიენტთან ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობის არსებობისას წევრი მოვალეა გადაუგზავნოს ცენტრალური დეპოზიტარისგან, ემიტენტისაგან ან რეგისტრატორისაგან დადგენილი წესით მიღებული შეტყობინება და მასთან დაკავშირებული ყველა მასალა იმ აქციების თითოეულ რეგისტრირებულ მესაკუთრეს, რომელთა აქციებიც მას ნომინალურ მფლობელობაში გააჩნია.

მუხლი 11. რეგისტრირებული მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაცვა

წევრმა, რომელიც ასრულებს ნომინალური მფლობელის მოვალეობას და ფლობს ინფორმაციას ფასიანი ქაღალდის მფლობელობის შესახებ, არ უნდა გამოიყენოს ეს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის შესყიდვის, გაყიდვის ან გადაცვლის მოთხოვნის გაჩენის, გაზრდის, შემცირების მიზნით, თუ ეს არ ზღდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრის თანხმობით.

მუხლი 12. სხვა წევრების ან ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლებზე ზეგავლენის მოხდენა ან მათი დასაჩუქრება

წევრმა არ უნდა გასცეს, მიიღოს ან დაუშვას, რომ გაცემულ ან მიღებულ იქნეს რაიმე ფასეულობა საჩუქრის სახით (ფულადი საჩუქრის ჩათვლით) თუ მისი ღირებულება აღემატება 50 ლარს, ნებისმიერ სხვა წევრის ან ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომლებზე, თუ ეს გასამრჯელო ან ფულადი საჩუქარი დაკავშირებულია რომელიმე მათგანის საქმიანობასთან ან წევრისა და ცენტრალური დეპოზიტარის საქმიან ურთიერთობებთან.

მუხლი 13. წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში

- 13.1. ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესებისა და პროცედურების თანახმად, ბონა ფიდე კლიენტს წევრი ცენტრალურ დეპოზიტარში უხსნის წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშს.
- 13.2. წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში არის შენახვის ანგარიშის ფორმა, რომელიც შეიძლება გაიხსნას ცენტრალურ დეპოზიტარში წევრის მიერ; ის ემსახურება იმ კლიენტებს, რომლებიც უფლებას ანიჭებენ წევრს, წევრსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მათი სახელით მიიღონ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.
- 13.3. წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ცენტრალურ დეპოზიტარს ეგზავნება, წერილობით უნდა დაადასტუროს ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა თანამდებობის პირმა. ეს პიროვნება მინიმუმ თვეში ერთხელ მიმოიხილავს გასული თვის განმავლობაში წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე წარმოებულ სავაჭრო საქმიანობას, რომ გამოავლინოს და არ დაუშვას ისეთი გარიგებები, რომელთა მოცულობა და სინშირე აღემატება: ა) კლიენტის ანგარიშზე არსებული ანაბრების მთლიან რაოდენობას და ბ) ინვესტიციებთან დაკავშირებულ მითითებებს, რომლებიც ჩამოყალიბდა წევრსა და კლიენტს შორის ფასიანი ქაღალდების წევრის კლიენტის ანგარიშის გახსნისას.
- 13.4 წევრის კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამდე წევრმა კლიენტს უნდა გადასცეს ამ მომენტში მოქმედი ეთიკის კოდექსი.

მუხლი 14. კლიენტის სახსრები და ფასიანი ქაღალდები

- 14.1. წევრმა არადანიშნულებისამებრ არ უნდა გამოიყენოს კლიენტის სახსრები ან ფასიანი ქაღალდები.
- 14.2. წევრმა არ უნდა ისესხოს ან გაასესხოს კლიენტის ანგარიშზე რიცხული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაგირავებას ან გასესხებას ექვემდებარება, თუ მას არ გააჩნია კლიენტის წერილობითი უფლებამოსილება ასეთი ქმედების განსახორციელებლად.
- 14.3. წევრი არ უნდა ფლობდეს მთლიანად ანაზღაურებულ ფასიან ქაღალდებს, რომელსაც იგი ნებისმიერი კლიენტისთვის ინახავს, თუ ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განცალკავებული და იდენტიფიცირებული იმ მეთოდით, რომელიც მიუთითებს ამ კლიენტის მფლობელობას ამ ფასიან ქაღალდებზე.

მუხლი 15. ამონაწერები კლიენტის ანგარიშიდან

- 15.1. თითოეულმა წევრმა მის ყველა კლიენტს უნდა მიაწოდოს ანგარიშის ყოველთვიური ამონაწერი, რომელიც შეიცავს ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის მდგომარეობის აღწერას, ფულადი სახსრების ნაშთს ან ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციათა მოცულობას იმის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რაც ასეთი ამონაწერი

უკანასკნელად გაეგზავნა კლიენტს. თუ ანგარიშზე არ მომხდარა რაიმე ცვლილება, მაშინ ასეთი ამონაწერი კლიენტს ეგზავნება ყოველკვარტალურად.

- 15.2. “ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციათა მოცულობა”-ში უნდა შედიოდეს ყიდვა-გაყიდვა, დავალიანება ან კუთვნილი თანხა შესაბამისი პროცენტებით, დივიდენდების ოდენობის მითითებით, გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების მიღება ან გაცემა და წევრის ნომინალურ მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ მყოფი, ფასიანი ქაღალდებთან ან ფულად სახსრებთან დაკავშირებული გატარებები ჟურნალში.

მუხლი 16. ზედამხედველობა

16.1. თითოეულმა წევრმა უნდა დააწესოს და აწარმოოს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დანიშნული თითოეული თანამშრომლის საქმიანობის საზედამხედველო სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას წევრის ყოველდღიური თანამშრომლობა ცენტრალურ დეპოზიტართან. სისტემა წერილობით უნდა წარიმართოს და გონივრულად იქნას დაგეგმილი, რათა შესაბამისობაში იყოს კანონთან “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ”, მარეგულირებელი ორგანოს და ცენტრალური დეპოზიტარის წესებთან, რომლებიც ფასიანი ქაღალდებით გარეგნობებს არეგულირებს. წინამდებარე კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სისტემის ზედამხედველობას აწარმოებს თანამდებობის პირი, თუმცა მის სწორად წარმართვაზე საბოლოო პასუხისმგებლობა წევრს ეკისრება.

16.2. სხვა ფუნქციების გარდა, პასუხისმგებელმა თანამდებობის პირმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) წევრის მიერ ცენტრალურ დეპოზიტართან ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისათვის თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობა; ბ) ამ თანამშრომელთა მიერ, ცენტრალური დეპოზიტარის წესებისა და პროცედურების დაცვით, წევრის ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული საქმიანობის (წევრის კლიენტების საქმიანობის ჩათვლით) წარმართვისათვის აუცილებელი პროფესიონალური დონე; გ) წევრი ყველა შესაძლებლობით, რათა მან დააწესოს და აწარმოოს ჩანაწერები, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის ცენტრალურ დეპოზიტარში ფასიანი ქაღალდების დროულ და ზუსტ დამუშავებას; ე) ამ პუნქტის ”ა” ქვეპუნქტში მოხსენიებულ თანამშრომელთა მიერ ცენტრალური დეპოზიტარის წესებსა და პროცედურებში შესაბამისი ცვლილებების შესახებ ინსტრუქციების მიღება; ვ) ცენტრალური დეპოზიტარისთვის ნებისმიერი სახის პრობლემის შეტყობინება, რომელიც აყვავებს ან ხელს უშლის წევრს განახორციელოს ფასიანი ქაღალდების დამუშავება; ზ) ბაზრის მარეგულირებლის წარმომადგენლისათვის ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდება; თ) საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდების გზით ცენტრალური დეპოზიტარის ან სხვა წევრის დახმარება წამოჭრილი პრობლემის მოგვარების ან დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დროულ წარმოებაზე.

16.3. წევრის წერილობითი საზედამხედველო პროცედურები უნდა ასახავდეს მის მიერ საზედამხედველო საქმიანობის ჩატარების მეთოდებს; ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მასთან მომუშავე თანამშრომლების თანამდებობის, ლიცენზიის/სერტიფიცირების სტატუსის და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დანიშნული ყველა თანამდებობის პირის ტელეფონის და ფაქსის ნომერს. დოკუმენტში ცალსახად უნდა იყოს ასახული თითოეული ზედამხედველის პასუხისმგებლობა, ცენტრალურ დეპოზიტართან და წევრის ბიზნეს საქმიანობასთან

ურთიერთობის თვალსაზრისით. მუხლი 3.3 აღსრულების მიზნით, წევრმა, შიდა ჩანაწერებში უნდა შეიტანოს ყველა იმ პირის ვინაობა, ვისაც ზედამხედველის ფუნქცია აკისრია და ამ ფუნქციის დაკისრების თარიღი.. წევრმა ჩანაწერი სულ ცოტა სამი წლით უნდა შეინახოს, აქედან პირველი ორი წელი, თავის ოფისში.

16.4. წევრის საზედამხედველო პროცედურების ასლი უნდა ინახებოდეს ყველგან, სადაც ზედამხედველობა მისი სახელით ხორციელდება. თითოეულმა წევრმა, დროის გარკვეულ პერიოდში უნდა განაახლოს თავისი საზედამხედველო პროცედურები, მას შემდეგ რაც შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნება სულ მცირე შემდეგი პუნქტებიდან ერთერთში მაინც: ა) "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში; ბ) მარეგულირებელი ორგანოს წესებში; გ) ცენტრალური დეპოზიტარის წესებსა და პროცედურებში; დ) წევრის საზედამხედველო სისტემაში ან თანამშრომელთა შტატში. თითოეული წევრი ვალდებულია, თავის ორგანიზაციაში გაავრცელოს ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ.

მუხლი 17. ბუღალტრული აღრიცხვა და ჩანაწერები

17.1. თითოეულმა წევრმა უნდა აწარმოოს საბუღალტრო წიგნები, ჟურნალები ჩანაწერები, მემორანდუმები და სხვა დოკუმენტაცია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის, მარეგულირებელი ორგანოს წესების და მასთან დაკავშირებული ცენტრალური დეპოზიტარის ან საქართველოში არსებული სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების გათვალისწინებით, რომელშიც წევრია გაერთიანებული.

17.2. კლიენტის ანგარიშის გახსნისას თითოეულმა წევრმა უნდა გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და შეინახოს იგი მარეგულირებელი ორგანოს, ცენტრალური დეპოზიტარის ან საქართველოში არსებული იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების გათვალისწინებით, რომლის წევრიცაა იგი.

17.3. თითოეულმა წევრმა სათანადო გულისყურით უნდა შეინახოს კლიენტის ყველა წერილობითი საჩივარი და საჩივარის საპასუხოდ მიღებული ზომების ჩანაწერი.

მუხლი 18. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

წევრმა, ბონა ფიდე კლიენტის მოთხოვნისთანავე, უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია მის ფინანსურ მდგომარეობაზე, როგორც ეს წარმოდგენილია უახლეს ბალანსში, ამ წევრის ჩვეულებრივი პრაქტიკის და/ან "ფასიანი ქაღალდების ბაზრის" შესახებ კანონის, მარეგულირებელი ორგანოს და ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად.

მუხლი 19. გარიგებები თანამშრომელთან

19.1. წევრის თანამშრომელს არ აქვს უფლება დამქირავებელი კომპანიისაგან წერილობითი ნებართვის გარეშე გახსნას ან აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში სხვა წევრთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელი არ აწარმოებს ამგვარი ანგარიშების გახსნას თანამშრომლებისათვის ან თუ დამქირავებელი გაუმართლებლად აყოვნებს თანამშრომლის ასეთ მოთხოვნაზე შესაბამისი ნებართვის გაცემას.

19.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღწერილი ნებართვის ასლი წინასწარ უნდა გადაეცეს წევრს, რომელთანაც იგი აპირებს პირადი ანგარიშის გახსნას ან გარიგების განხორციელებას.

19.3. თუ თანამშრომელი დამქირავებლის წინასწარი წერილობითი ნებართვით ხსნის პირად ანგარიშს სხვა წევრთან, მაშინ ამ უკანასკნელმა უნდა გაუგზავნოს მის დამქირავებელს თანამშრომლის გარიგების დამოწმების და ყოველთვიური ანგარიშების ასლები.

მუხლი 20. კონფიდენციალური ინფორმაცია.

20.1. ყველა წერმა უნდა ჩამოაყალიბოს, დაიცვას და განახორციელოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული შიდა კონფიდენციალური ინფორმაციის წესები. ეს წესები უნდა უზრუნველყოფდეს:

20.1.1. კლიენტებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის კონფიდენციალურობას, გარდა კლიენტის მიერ გასამჟღავნებლად ნებადართული ინფორმაციისა;

20.1.2. წევრისა და კლიენტის ურთიერთობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის აღრიცხვას;

20.1.3. წევრის შიდა მოთხოვნებს თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის შესაბამისობას არსებულ წესებთან და აკისრებს მათ ვალდებულებას არ მიაწოდონ კონფიდენციალური ინფორმაცია (ა) წევრის სხვა განყოფილებებს ან მათ თანამშრომლებს; (ბ) სხვა წევრების თანამშრომლებს; ან (გ) ფართო საზოგადოებას.

20.2 კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, შემდეგ გარემოებებში:

20.2.1 ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენელს, ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დანიშნული ზედამხედველის დამტკიცების შემთხვევაში ან წევრის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელის ან ამ ორგანოს წევრის მოთხოვნის საფუძველზე;

20.2.2 ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია კლიენტის წერილობითი ნებართვა კლიენტისა და წევრის საქმიანი ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე;

20.2.3 სხვა წევრის, ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დანიშნულ თანამშრომელს ან დეპოზიტარის თანამშრომელს, მხოლოდ და მხოლოდ იმ პრობლემის გადაჭრის ან შეცდომის შესწორების მიზნით, რომელიც თავის მხრივ აფერხებს დეპოზიტარისთვის წარმოდგენილი გარიგების დროული აღრიცხვის პროცესს.

20.2.4 სასამართლო დადგენილების წარმოდგენის შემთხვევაში.

20.3 წევრის მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული შიდა წესების შეუსრულებლობა ან მათი დარღვევა წარმოადგენს წინამდებარე კოდექსის დარღვევას.